პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

27 II 1990 № 4 (9) 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა






23 თებერვალს თბილისში, მთავრობის სახლთან გაიმართა მიტინგი; აქ შეკრებილმა ხალხმა პატივი მიაგო 1921 წლის თებერვალს კოჯორსა და ტაბახმელასთან დაღუპულ გმირებს. თბილისის უნივერსიტეტშიც აღინიშნა ეს დღე. ეკლესიაში გადიხადეს პარაკლისი.

ამავე დღეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან გაიმართა საპროტესტო აქცია საბჭოთა არმიის დღესთან დაკავშირებით. აქციაში მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაიყვანონ საოკუპაციო ჯარები.

25 თებერვალს თბილისის უნივერსიტეტის ეზოში და მთავრობის სახლთან მოეწყო სამგლოვიარო აქცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციასთან დაკავშირებით.

მიტინგზე გამომსვლელებმა გაიხსენეს საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული იუნკრები...

იყო საუბარი საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

მიტინგზე გამოვიდნენ: ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე, ირაკლი ბათიაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, რუსლან მიქაბერიძე, თემურ სუმბათაშვილი, თემურ ქორიძე, ლუიზა შაკიაშვილი, სოციალ-დემოკრატი გ. მუჩაიძე და სხვები.

მიტინგის შემდგომ პრაქტიკულად განხორციელდა აქცია, რომელსაც დიდი ხანი ელოდა ქართველი ხალხი. ამიერიდან თბილისში ლენინის სახელით ცნობილ ქუჩას საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელი ჰქვია.

სამგლოვიარო აქციები გაიმართა საქართველოს სხვადასხვა რაიონში და ქალაქში.

# ნოდარ ნათაძის სიტყვა

**წარმოთქმული 1990 წლის 25 თებერვალს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე**

**დღეს** საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული წლისთავია, რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ანექსიის წლისთავი. 69 წლის წინათ ჩვენ კიდევ ერთხელ დავკარგეთ თავისუფლება. დავკარგეთ იმიტომ, რომ მტერი ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა. მაგრამ არა მარტო იმიტომ. ჩვენს დამარცხებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა და დღეს, როცა ახალი თავისუფლების კარიბჭესთან ვდგავართ, ყველა იმ მიზეზის გათვალისწინება, ყველა მაშინდელი შეცდომის აღიარება გვმართებს, რათა ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ საუკუნით არ გადავჩეხოთ მონობის ბნელეთში.

ჯერ ერთი, 1921 წელს საქართველოს არ უწყობდა ან თითქმის არ უწყობდა ხელს საერთაშორისო ვითარება. კოლონიალიზმისა და იმპერიების ეპოქა იყო და საქართველოც დედამიწის მოსახლეობის თვალში ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო მოყოლილი. ანტანტის ქვეყნებს ერიდებოდათ, მეტ-ნაკლებად, თავისი მოკავშირის — რუსეთის — ყოფილი კოლონიისათვის ხელის გამართვა და ეზარებოდათ ახალი საერთაშორისო წონასწორობის დამყარებაზე ზრუნვა ნაცვლად უკვე არსებულისა, რომელიც ამიერკავკასიას რუსეთის გავლენის ზონად ცნობდა. ამიტომაც დასავლეთი მეტ-ნაკლებად გვღალატობდა ჩვენ. **მეტ-ნაკლებად**, და არა სავსებით და მთლიანად, რადგან, საქართველოს მთავრობას რომ ევარგა და ბოლომდე აქტიური, შემოქმედებითი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა, იგი შეძლებდა ამიერკავკასიის პოლიტიკური წონასწორობის ახალი ფორმის გამოძებნას, რომელშიც დასავლეთ ევროპას თავისი სიტყვა დაურჩებოდა სათქმელი და რომლითაც საქართველო ომისაგან დაღლილ განვითარებულ მსოფლიოს დააინტერესებდა.

დღეს ვითარება სხვაა. დღეს მსოფლიოში კოლონია თითქმის აღარ არსებობს საბჭოთა კავშირის გარეთ და იმპერია, როგორც ადამიანთა თანაცხოვრების ფორმა, ისეთსავე ბარბაროსულ ანაქრონიზმად ქცეულა, როგორიც კაციჭამიობა ან მონათმფლობელობაა. მსოფლიოს დღევანდელ სისტემაში ადგილი არსებობს თავისუფალი ერებისათვის და არა კოლონიებისათვის. დღეს ჩვენ ან ქართველებად ჩავითვლებით, ანუ სავსებით სუვერენული, მსოფლიოს რუკაზე საკუთარი ფერის მქონე საქართველოს მოქალაქეებად, ან რუსების ერთ-ერთ ნაირსახეობად და საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად. ჩვენ უნდა ვეძებოთ და მოვიპოვოთ ჩვენი საკუთარი ადგილი მსოფლიოს პოლიტიკურსა და გეოპოლიტიკურ სისტემაში და ამისთვის მკვეთრად უნდა დავუპირისპირდეთ პოლიტიკური აზროვნებისა და პრაქტიკის მთელ იმ წესს, — თუნდ სპორტული ფედერაციების წყობის სახით და თუნდ გაერთიანებულ ერთა წყობის სახით, — რომელიც საბჭოთა კავშირს, მართალია მორყეულ მთლიანად, მაგრამ მაინც ერთ მთლიანად, მსოფლიო პოლიტიკის ერთ სუბიექტად თვლის. ამისთვის ჩვენ გვმართებს დიდი კვალიფიკაცია, მსოფლიო პოლიტიკის მექანიზმთა ღრმა ცოდნა, დიდი ენერგია და, პირველ ყოვლისა, ეროვნული თავისუფლებისკენ მიმართული ურყევი ნება, რომელსაც სხვა ვერაფერი შეცვლის.

მეორეც, 1921 წელს მსოფლიოშიც და საქართველოშიც ჩვენი თავისუფლებისათვის არახელსაყრელი სოციალური და ფსიქოლოგიური ამინდი სუფევდა. ომით დაღლილი მსოფლიოს მშრომელი მოსახლეობის დიდი ნაწილიც და თვით ქართველობაც ჯერ კიდევ სოციალური, კლასობრივი ინტერესებით სუნთქავდა და არა ეროვნულით. ეკონომიკურად და სულიერად დაბეჩავებულ ადამიანებს ეგონათ, რომ სოციალიზმის იდეების პრაქტიკულ განხორციელებას ადამიანისათვის თავისუფლება და კეთილდღეობა მოჰქონდა. ამიტომ ახლად-აღმოცენებულ წითელ იმპერიაში ისინი აღმოსავლური დესპოტიის ახალ, უფრო სრულყოფილ ფორმას კი არ ხედავდნენ, არამედ კეთილდღეობის ნათელი მომავლის მაცნეს. ეს უკანასკნელი ილუზია დღეს სავსებით დაძლეულია. მაგრამ ეროვნული ინტერესებისადმი სიბრმავე და სიყრუე, კერძოდ — მცირე ერთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი ლტოლვის კანონიერების დაუნახაობა დღეს ჯერ კიდევ მრავალი და მრავალი პოლიტიკოსის თუ ჟურნალისტის სენია. ჩვენ და მხოლოდ ჩვენ — მცირე ერებმა — უნდა დავამკვიდროთ და გავაბატონოთ მთელს მსოფლიოში ის აზრი, რომ ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა ინდივიდუალური ადამიანის ადამიანურ უფლებათა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომ ეროვნული თავისუფლების გარეშე ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლებაც და ინდივიდუალური ბედნიერებაც არ არსებობს. დღეს ქართველებს გვმართებს, ალბათ, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე არათავისუფალსა და თავისუფლებისმოყვარე ერს, რომ ამ წმინდა საქმეში ერთ-ერთი წინამბრძოლი ვიყოთ.

მესამეც, თვით ქართველი ხალხი ვერ აღმოჩნდა მზად მოულოდნელად მიღებული, ისტორიის მიერ **ნაჩუქარი** თავისუფლებისათვის. ადამიანისთვის დამახასიათებელი შეზღუდულობისა თუ სისუსტის გამო ისე მოხდა, სოციალურად და...

(დასასრული მე-7 გვ.)

**რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში („დას“-ი)**

# მიმართვა

**საქართველოს სსრ პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს**

ბატონო ვახტანგ!

ვიდრე მოთხოვნის შინაარსს გაგაცნობდეთ, წარმოგიდგენთ 9 აპრილის ტრაგედიის წინამორბედ მოვლენათა განვითარების სქემას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მომხდარი ამბების გამომკვლევი თბილისური თუ მოსკოვური კომისიების მიერ შემოთავაზებული ვარიანტებისაგან და გვაძლევს შესაძლებლობას, ისტორიული სიმართლე დავინახოთ.

ვფიქრობთ, რომ 9 აპრილის ტრაგედიის განმაპირობებელი მოვლენები დაიწყო არა ლიხნის თავყრილობით, როგორც ამას კომისიათა დასკვნებში ვკითხულობთ, არამედ მნიშვნელოვნად ადრე, თებერვლის დასაწყისში, როცა ცნობილი გახდა, რომ აპრილის შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებული შტატების სენატი 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის საკითხს განიხილავდა. ჭეშმარიტად საგანგებო გულუბრყვილობაა საჭირო, სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელი წრეების უმაქნისობა დავუშვათ და ვირწმუნოთ, რომ ისინი გულხელდაკრეფილი დაელოდებოდნენ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სენატი, არ ეცდებოდნენ ჩაეშალათ საქართველოს საკითხის განხილვა. იმ დროისათვის საერთაშორისო არენაზე ჯერ კიდევ გაუბზარავი „დემოკრატიზაციისა“ და „პერესტროიკის“ „წმიდათაწმიდა“ ნიღაბს ხომ რეალური საფრთხე დაემუქრა?! ხოლო ვეება საბჭოთა იმპერია მთელი თავისი შესაძლებლობებით ცდილობდა საგარეო სახე მაინც ჰქონოდა შეუბღალავი. საჭირო გახდა საქართველოს კომპრომეტირება ისე, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიის ავანგარდს მისთვის მხარდაჭერის სურვილი განელებოდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სენატი ვერ დაუჭერდა მხარს მცირე ერის მჩაგვრელ ქართველებს. ასეთ სამარქაფო „ჩაგრულად“ ხელისუფლებას აფხაზები ჰყავდათ მომზადებული. თუ მოხერხდებოდა აფხაზ-ქართველთა შორის სისხლისღვრის ინსპირირება, ბრალი, ცხადია, ქართველებს დაედებოდათ. ასე შედგა მარტივი სცენარი: ლიხნის კრება, იქ მიღებული „ლიხნის მიმართვა“, მანამდე მთელი წლის განმავლო-

(დასასრული მე-4 გვ.)

# საგაზეთო შენიშვნა

**ხვალ**, 18-ს მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღეა იმისი თუ, — ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულის ტკივილითა და გულ-მოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

აქამდე თუ ხმოსნების ამორჩევას საბჭოსათვის ყურს არ ვათხოვებდით და გულგრილად ვეკიდებოდით, დიდი შეცოდება იყო ჩვენ მიერ ტფილისისა და მისთა მკვიდრთა წინაშე. ეხლა სულ სხვა დროა. ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, — რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი, — მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, მოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯანმრთელდეს. ღმერთმა არა დაიშურა ჩვენის დედაქალაქისათვის. ჰაერი, წყალი, ადგილი—ყველაფერი, რითაც ბუნება მოსაწონებლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს, იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოგვნატრის. თუ რამ ცუდია აქ, და ბევრი რამაც არის ცუდი, სულ იმისი ბრალია, რომ დედაქალაქს შვილობას არ ვუწევთ, გულდადებით არ ვექცევით, სიყვარულით, სიყვარულით არ ვპატრონობთ.

კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილ-უბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელს ქალაქსა.

ყველამ ერთად რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო. და აი ხვალ ამისი განკითხვაა. რომ ჩაუფიქრდეთ, თქვენვე იტყვით ჩვენთან ერთად, რომ ეს სახუმარი საქმე არ არის. ერთი გულმრუდობით აქეთ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეს, — ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო? იცოდეთ, დიდი ცოდვა მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ — ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივარობა სულელობად არ მიაჩნია.

თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენის ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენ მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლეს, ღარიბს არ ახდევინონ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი, ქალაქის ბაზარში კარგი და სალი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არა ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილ-უბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიმყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილ-შვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც რაც შეიძლება იეფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ, რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახატრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილ შვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იქსაქსებოდეს გულდაუდებლობით და უთავდარიგობითა.

ერთის სიტყვით, ბევრი სხვაც არის, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ესეც საკმაოა, თუ ღმერთმა გაგვიგონა, და ამაებს მაინც ხვალ შესაფერი კაცები ამოვურჩიეთ.

ამიტომა ვთქვით ზევით, რომ ხვალინდელი დღე სახუმარი დღე არ არის. სიმძიმე და სიდიდე იმ მოვალეობისა, რომელსაც ხვალ კისრად ვღებულობთ და ასე თუ ისე ავასრულებთ, წინ უნდა წაიმძღვაროს ყველამ და ისე მივიდეს კენჭის მისაცემად. აქ ვინც უმტყუვნებს და ულალატებს იმას, რასაც სინიდისი, ნამუსი, კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი ულალატებს თავისს თავს, თავისის ცოლ-შვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით შეუდექით არჩევანების დიდ საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ.

**ილია ჭავჭავაძე.**

ტფილისი, 16 მაისი, 1897 წ.

შენიშვნა დაწერილია თბილისის ქალაქის გამგეობის არჩევნების თაობაზე.

# საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ დასახელებული დეპუტატობის კანდიდატების სია

**№70 ოთარ ზაქარიას ძე კეჟერაშვილი** — ქართველი, დაბ. 1943 წ., ეკონომისტი, თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლება, დეკანის მოადგილე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ.

**№71 ღვთისო გიორგის ძე გოგოჭური** — ქართველი, დაბ. 1941 წ., ფილოსოფოსი, საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, ფილოსოფიის კათედრა, დოცენტი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ.

**№72 მერაბ ივანეს ძე გვარამე** — ქართველი, დაბ. 1948 წ., მათემატიკოსი, მათემატიკის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უპარტიო.

**№73 რობერტ მელენტის ძე პეტრიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1945 წ., ფილოსოფოსი, საქართველოს სახალხო ფრონტის საარჩევნო საქმეთა კომისია, თავმჯდომარე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

**№74 რევაზ არჩილის ძე ჯანაშვილი** — ქართველი, დაბ. 1939 წ., ბიოლოგ-ზოოლოგი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, ზოოლოგია ჰისტოლოგიის კათედრა, დოცენტი, უპარტიო.

**№75 მიხეილ მიხეილის ძე მორჩილაძე** — ქართველი, დაბ. 1945 წ., მწერალი, დავით-გარეჯის სამუზეუმო კომპლექსი, ექსკურსიამძღოლი, უპარტიო.

**№76 გიორგი ჯუმბერის ძე ნიჟარაძე** — ქართველი, დაბ. 1956 წ., ეკონომ-გეოგრაფი, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კვლევის ცენტრი, მეცნიერ-თანამშრომელი, უპარტიო.

**№77 გიორგი ნიკოლოზის ძე შენგელაია** — ქართველი, დაბ. 1937 წ., კინორეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმი", მხატვრული გაერთიანება „სხივი", ხელმძღვანელი, უპარტიო.

**№78 როსტომ ვახილის ძე ლორთქიფანიძე** — ქართველი, დაბ. 1944 წ., წმინდა სამების ეკლესია, წინამძღვარი, უპარტიო.

**№79 იაგო ვახტანგის ძე ბაზალელი** — ქართველი, დაბ. 1957 წ., ინჟინერ-მექანიკოსი, მცხეთის რაიონის სოფ. გალავნის ექსპერიმენტალური მეურნეობა, ბრიგადირი. სკკპ.

**№80 ვაჟა გიორგის ძე ოთარაშვილი** — ქართველი, დაბ. 1955 წ., ინჟინერი, ტექნიკური უნივერსიტეტი, მართვის ავტომატიზირებული კათედრის უფროსი მასწავლებელი, უპარტიო.

**№81 თამაზ ალექსის ძე ნონიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1944 წ., ფსიქოლოგი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, დირექტორის მოადგილე, უპარტიო.

**№82 გიორგი ანდროს ძე ბეგიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1933 წ., ფიზიკოსი, საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქ. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სექტორის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, უპარტიო.

**№83 იოსებ ალექსის ძე ახალბედაშვილი** — ქართველი, დაბ. 1958 წ., ეკონომისტი, ბინსოცბანკის გორის განყოფილება, საკრედიტო საგეგმო განყოფილების უფროსი, სკკპ.

**№84 იგორ ნიკოლოზის ძე პატარიძე** — ქართველი, დაბ. 1939 წ., ინჟინერი, საქ. სახ. სამშენებლო კომიტეტი, მთავარი სპეციალისტი, უპარტიო.

**№86 პაატა ავთანდილის ძე ჩხეიძე** — ქართველი, დაბ. 1955 წ., მასწავლებელი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უპარტიო.

**№87 ნუგზარ გიორგის ძე მაჭავარიანი** — ქართველი, დაბ. 1946 წ., ვეტერინარი, საბჭოთა კავშირის მატერიალური რეზერვების სახ. კომიტეტის კომბინატი „იუენი", დირექტორი, სკკპ.

**№88 ელდარ მიხეილის ძე მამისთვალიშვილი** — ებრაელი, დაბ. 1939 წ., ისტორიკოსი, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ეკონომიკურ მეცნიერებათა კათედრა. პროფესორი, სკკპ.

**№89 ვაჟა ხერგოს ძე დადიანიძე** — ქართველი, დაბ. 1934 წ., მწერალი, გორის მწერალთა კავშირის განყოფილება, ალმანახი „მჭეკარი", რედაქტორის მოადგილე, უპარტიო.

**№90 იულონ მიხეილის ძე გაგოშიძე** — ქართველი, დაბ. 1935 წ., ისტორიკოსი, სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, სკკპ.

**№91 ვახილ გიორგის ძე ბუზალაძე** — ქართველი, დაბ. 1951 წ., ინჟინერ-მექანიკოსი, ქარელის ტექნიკური აღრიცხვის ბიურო, ბრიგადირი, უპარტიო.

**№92 ლერი ლევანის ძე ბუზიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1960 წ., წმინდა ჯვრის მამის ტაძარი, წინამძღვარი, უპარტიო.

**№93 ვახილ დავითის ძე ხანიშვილი** — ქართველი, დაბ. 1958 წ., ეკონომისტი, საქ. სსრ ფინანსთა სამინისტროს მრეწველობისა და მშენებლობის ფინანსების სამმართველო, მთავარი ეკონომისტი, უპარტიო.

**№94 ალექსანდრე გიორგის ძე ელიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1959 წ., ისტორიკოსი, ამიერკავკასიის რკინიგზის №3 საშ. სკოლა, პედაგოგი, უპარტიო.

**№95 არჩილ არჩილის ძე ჭირაქაძე** — ქართველი, დაბ. 1953 წ., ფიზიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის №8 დარგობრივი ლაბორატორია, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

**№96 ვაჟა ავთანდილის ძე შუბითიძე** — ქართველი, დაბ. 1959 წ., ისტორიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური თეორიის კათედრა, დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

**№97 კლიმენტი შალვას ძე ხუთიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1939 წ., ისტორიკოსი, ხაშურის რაიონის სოფ. ცხრამუხის საშ. სკოლა, სასწავლო ნაწილის გამგე, უპარტიო.

**№98 გურამ ვასილის ძე ყორანაშვილი** — ქართველი, დაბ. 1940 წ., ისტორიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, უპარტიო.

**№99 პაატა ნიკოლოზის ძე ვარაზაშვილი** — ქართველი, დაბ. 1954 წ., ბიოლოგი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია.

**№100 გივი გაიოზის ძე ლამბაშიძე** — ქართველი, დაბ. 1941 წ., ისტორიკოს-არქეოლოგი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კვლევის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის არქეოლოგიური კვლევის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი, უპარტიო.

**№101 ნელი ოთარის ასული ლონდაძე** — ქართველი, დაბ. 1950 წ., ისტორიკოსი, იურისტი, ახალციხის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, მმაჩის განყოფილების გამგე. სკკპ.

**№102 კონსტანტინე მეთოდეს ძე გვიშიანი** — ქართველი, დაბ. 1934 წ., აგრონომი, „სმედმსის" ახალციხის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების განყოფილება, განყოფილების გამგე, უპარტიო.

**№103 ნუგზარ მიხეილის ძე შავთვალაძე** — ქართველი, დაბ. 1948 წ., მშენებელი ინჟინერი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის" ტრესტი, განყოფილების უფროსი, უპარტიო.

**№105 ანდრია ალექსანდრეს ძე ტოროტაძე** — ქართველი, დაბ. 1959 წ., ფიზიკოსი, თსუ ბირთვული ფიზიკის კათედრა, მეცნიერ-თანამშრომელი, უპარტიო.

**№108 გვანჯი ხილოვანის ძე მანია** — ქართველი, დაბ. 1940 წ., ჟურნალისტი, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", საქ. მწვანეთა მოძრაობა, განყოფილების გამგე, პრეს-მდივანი, უპარტიო.

**№111 ამბროსი ფრიდონის ძე ბალახაძე** — ქართველი, დაბ. 1950 წ., მხატვარი, დმანისი ხელოვნების სკოლა, დირექტორი, უპარტიო.

**№113 ვაჟა ივანეს ძე ბუაძე** — ქართველი, დაბ. 1932 წ., გეოლოგი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, დირექტორის მოადგილე, სკკპ.

**№114 იური შოთას ძე კალაიჩევი** — ბერძენი, დაბ. 1952 წ., ფიზიკოსი, საქ. ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. სკკპ.

**№115 ლუიზა ვლადიმერის ასული ბოჩკოვა** — რუსი, დაბ. 1947 წ., ფილოლოგი, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი, სკკპ.

**№116 ავთანდილ ვლადიმერის ძე დემეტრაშვილი** — ქართველი, დაბ. 1941 წ., იურისტი, თსუ საერთაშორისო სამართლის კათედრა, დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დეკანის მოადგილე, სკკპ.

**№117 მირონ ბუჯას ძე ხერგიანი** — ქართველი, დაბ. 1943 წ., მწერალი, ჟურნალ „მნათობის" რედაქცია, პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე, უპარტიო.

**№118 გია შოთას ძე ადამაშვილი** — ქართველი, დაბ. 1953 წ., ეკონომისტი, ბოლნისის რაიონის საფინანსო განყოფილება, შემოსავლების განყოფილების უფროსი, უპარტიო.

**№119 ბიმურზა გერმანის ძე აფრასიძე** — ქართველი, დაბ. 1951 წ., სოციოლოგიის კათედრა, უფროსი მასწავლებელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო.

**№120 გიორგი დავითის ძე თამლიანი** — ქართველი, დაბ. 1955 წ., ინჟინერ-მშენებელი, მე-13 ტრესტის №5 სამშენებლო სამმართველო, ინჟინერი, უპარტიო.

**№121 ნოდარ გიორგის ძე ნონიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1947 წ. ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, საქ. ხაგრომრეწვის საქმეთა მმართველობა, საოქმო განყოფილების უფროსი, უპარტიო.

**№123 ელდარ ორუჯის ძე თოფჩიევი** — აზერბაიჯანელი, დაბ. 1950 წ., იურისტი, საქ. სსრ პროკურატურა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი, სკკპ.

**№125 რაგიმ ისლამის ძე ანდრიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1938 წ., ფილოსოფოსი, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრა, დოცენტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ.

**№126 პეტმარ იროდის ძე აბაიშვილი** — ქართველი, დაბ. 1946 წ., ჟურნალისტი, გაზეთი „ახალი მარნეული", რედაქტორი, უპარტიო.

**№127 დავით ოთარის ძე მოდებაძე** — ქართველი, დაბ. 1964 წ., ინჟინერი, ასოციაცია „კოოპერატორები" მშვიდობისათვის და კაცობრიობის ხსნისათვის, რეფერენტი, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის კონსტიტუციური ფრაქციის წევრი.

**№128 ზურაბ ბესარიონის ძე ჟვანია** — ქართველი, დაბ. 1963 წ., ბიოლოგი, თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უპარტიო.

**№129 რევაზ ვლადიმერის ძე გოგშელიძე** — ქართველი, დაბ. 1956 წ., იურისტი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, მასწავლებელი, სკკპ.

**№130 თეიმურაზ ვლადიმერის ძე ჭოჭუა** — ქართველი, დაბ. 1954 წ., ფილოლოგი, მთავარი სარედაქციო კოლეგია, რედაქტორი, უპარტიო.

**№131 როლანდ ანზორის ძე ბახიაშვილი** — ქართველი, დაბ. 1963 წ., ეკონომისტი, საქ. სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უპარტიო.

(დასასრული)

გრული ქართველი გლეხი, მართალია, ხედავდა თავის უშუალო ეკონომიკურ მოწინააღმდეგეს, თავისი სოფლის მემამულეს, მაგრამ ვერ ხედავდა თავისსავე ყველაზე დიდ მჩაგვრელს, უცხო დამპყრობელს, რომელსაც საქართველოს ყველაზე ნაყოფიერი მიწები ჰქონდა დასაკუთრებული და ქართველი გლეხი იქიდან გამოძევებული ჰყავდა. ამ ადამიანური სისუსტის დაძლევას დრო უნდოდა, შრომა უნდოდა, პირობები უნდოდა და, რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძისთანა წინამძღოლები უნდოდა. ილიამ მოასწრო თავისი მიმდევრების ძლიერი რაზმის, ქართული ეროვნული მოძრაობის ბირთვის შექმნა მანამდე, სანამ სოციალ-დემოკრატის ტყვია სიცოცხლეს მოუსწრაფებდა. მაგრამ მან და მისმა მიმდევრებმა ვერ მოასწრეს **საკმარისად** დიდი და მრავალრიცხოვანი რაზმის შექმნა, რათა ხალხი აეყოლიებინათ და სოციალ-დემოკრატთა სოციალურსა და კლასობრივ დემაგოგიას წინ აღდგომოდნენ. ამიტომ ქართველი ხალხი მოუმზადებელი შეხვდა ეროვნულ თავისუფლებას და 1921 წლის თებერვალში ვერ აღდგა ერთიანად მის დასაცავად. მან, მიხეილ ჯავახიშვილის მწარე ალეგორიისა არ იყოს, თეიმურაზ ხევისთავივით თავისი ოჯახის ღირსება ჯაყოს დაუთმო გასათელავად.

მეორეც, დასამალი არაა, რომ საქართველოს ინტერესებს უღალატა თვით საქართველოს მაშინდელმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ, რომელმაც ძლიერი არმიის შექმნისა და საუკეთესო მრავალრიცხოვანი ქართველი ოფიცრობის გამოყენების შესაძლებლობა არ გამოიყენა, ულტიმატუმი არ წარუდგინა და ომი არ გამოუცხადა საქართველოს მიწაზე შემოჭრილ შეიარაღებულ მტერს, — მე-11-ე და მე-9-ე რუსულ არმიებს, მთავრობამ ქართველი ხალხი სამშობლოს დაცვის ერთობლივი ნებით ვერ შეკრა და არ შეკრა. საქართველოს მაშინდელ მმართველებს ეგონათ, რომ მათი იდეოლოგიური ბიძაშვილები — რუსი ბოლშევიკები — საქართველოში ისე შემოვიდოდნენ, როგორც პარტია და არა როგორც

# ნოდარ ნათაძის სიტყვა

რუსები. მათ ეგონათ, რომ ბრძოლის არგამართვით ისინი საქართველოს სისხლს დაუზოგავდნენ, თუმცა სინამდვილეში 1921 წლის უბედურებამ საქართველოს, სულ ცოტა, ორმოცდაათჯერ მეტი მსხვერპლი მოუტანა, ვიდრე 1921 წელს სამამულო ომის გამოცხადება მოუტანდა.

დღეს ქართველი ხალხი განკურნებულია იმ დიდი სენისაგან, რაც მაშინ ხალხსაც და მთავრობასაც სჭირდა — ეროვნული უიმედობისაგან. განკურნებულია მსოფლიოს დეკოლონიზაციით ერთის მხრივ და საქართველოს მიერ გაღებული მსხვერპლით — ასიათასობით ქართველის მიერ დაღვრილი სისხლით — მეორეს მხრივ. ქართველ ხალხს 1921 წლის შემდეგ არასოდეს სძინებია. ამას მოწმობს ის ყოველწლიური დაპატიმრებები, დახვრეტები თუ გაციმბირებები ქართული ე. წ. „ნაციონალისტური ჯგუფებისა“, საქართველოსთვის თავგანწირული ახალგაზრდების ჯგუფებისა, რომლებიც სტალინის სიცოცხლეშიც კი არ გამქრალა. მაგრამ დღეს გამოლვიძებული იმიტომ, რომ თავის წინაშე უკვე რეალურ პერსპექტივას ხედავს. იმპერიის დრო მიდის და თავისუფლების დრო მოდის. მოდის, მაგრამ მხოლოდ იმათთვის, ვინც თავისუფლების ფასი იცის და მისთვის ბრძოლა ჰსურს.

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ დღეს ეს ბრძოლა საქართველოს უაღრესად მძიმე პირობებში უწევს. აღმოსავლურმა დესპოტიამ, რომელმაც ჩვენს ქვეყანას სისხლისა და ცრემლის ზღვა დაადინა ამ სამოცდაცხრა წლის მანძილზე, ქართველ ხალხს ცხოვრებისა და გადარჩენის ერთი ყველაზე აუცილებელი საშუალება — საზოგადოების მიერ საკუთარი თავის რეგულირებისა და მართვის მექანიზმები — მოუსპო. მან საქართველო სისხლისაგან დასცალა პოლიტიკური და არაპოლიტიკური დაპატიმრებებით, ომებით, ეკოლოგიური, თუ ეკონომიკური ანტიჰიგიენით. მან საქართველო ქონებრივად გაყვლიფა და გონებრივად და სულიერად დაამდაბლა. მან საქართველო მიწაზე დასცა და ჩვენი ქვეყნის სხეულში ნელი მოქმედების რამდენიმე ბომბი ჩადო, რომელსაც როცა უნდა, მაშინ ააფეთქებს. მაგრამ საქართველო მაინც გადარჩა ამ ძნელბედობაში და აღგომის სურვილი მაინც შეინარჩუნა, რადგან ჩვენი გენი უფრო სალი აღმოჩნდა, ვიდრე მტერს ეგონა, და ჩვენი სიყვარული სამშობლოსადმი, ჩვენ ნება — უფრო ძლიერი. დღეს საქართველოს თავისთვის მართვის ამ აუცილებელი მექანიზმების კვლავ შექმნა, იმ ნელი მოქმედების ბომბების გაუვნებლება, ბრძოლის ხელოვნების თავიდან სწავლა ჰმართებს. ჩვენ დღეს არა მარტო უნდა გავძლოთ იმპერიის დაშლამდე, არამედ ისიც უნდა შევიძლოთ, რომ ამ იმპერიის ნანგრევებზე ჩვენი კუთვნილი სხვამ ვერავინ წაგვართვას. ჩვენ თავდადებულნი უნდა ვიყოთ და ძლიერნი, მტკიცენი უნდა ვიყოთ და ბრძენნი. თუმცა სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლის გზაზე ჯერ ფინიშის სწორზე არ გავსულვართ, მაგრამ დისტანციაზე გასულნი **უკვე** ვართ და ჩვენს წინსვლას ალბათ ველარაფერი შეაჩერებს დიდი ხნით. ჩვენი განთავისუფლების პროცესი შეუქცევადია, თუმცა არაა გამორიცხული, ზიგზაგებიც ჰქონდეს ბარბაროსული რეპრესიებისა და რეპრესიათა მცდელობების სახით. ამან არც უნდა გაგვაკვიროს და არც უნდა შეგვაშინოს. ვიმეორებ: ვიყოთ მტკიცენი და ბრძენნი. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სამშობლოს გადარჩენა და ვალდებულნი ვართ, გადავარჩინოთ იგი. გაუმარჯოს საქართველოს განთავისუფლებას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

პოლემიკა

# ვისია, ვისია ლექსი ლამაზი?

**რედაქციისაგან: ნუგზარ ანთელავას ამ წერილის დაბეჭდვით რედაქცია გამოხატავს თავის პოზიციას გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამართულ პოლემიკასთან დაკავშირებით.**

**გაზეთ** „ლიტერატურული საქართველოს“ 12 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკოსების თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის წერილი („ასე გაგრძელების უფლება აღარ გვაქვს!“), რომელშიც წარმოდგენილია ცნობილი ქართველი პოეტის — ხუტა ბერულავას შემოქმედების შეფასების ცდა. ცხადია, არც დავაპირებდი კალმის ხელში აღებას, რომ არა წერილის ავტორთა ერთი დასკვნა; კერძოდ, ისინი წერენ: „... კოლხურ თემატიკაზე შექმნილი მთელი ციკლი ლექსებისა (რომლითაც, უპირველეს ყოვლისა, ძვირფასია ქართველი მკითხველისათვის ხუტა ბერულავას შემოქმედება) განა თავიდან ბოლომდე უგულწრფელესი გრძნობით, ნაღდი სიხარულითა და ტკივილებით არ არის გაჯერებული? „მეგრული ლექსის სილბო და სევდა““, ამ ლექსებიდან რომ გამოსჭვივის, უაღრესად შთამბეჭდავი და გულში ჩამწვდომია ყოველი ქართველისათვის...“

შეუძლებელია, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც არ დაეთანხმო კრიტიკოსებს. შეუძლებელია, ლექსების ციკლმა („ყვავილის და ჰინჭრის ლექსი“, „ჩემი მტრედი“, „ქალის ბარათი“, „შენ რომ ვარდსა არა სჯობდე“, „[illegible]“, „ქალ-ვაჟიანი“, ერთი ვარდი“, „ვიწექ მარტო“, „ვარდმა თქვა: ჩემი ის არის“, „ძველი კოლხური სატრფიალო“ და სხვა. იხ. ხუტა ბერულავა, ლექსები, პოემები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1988 წ.), რომელსაც პოეტმა „კოლხური მელოდიები“ უწოდა, მართლაც არ ააღელვოს მკითხველი. მაგრამ... მაგრამ უნდა დავსვა დიდი ხნით ადრე დასასმელი კითხვა:

ვისია ეს ლექსები?

მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ამ ლექსების ავტორი პოეტი ხუტა ბერულავა არ გახლავთ. იგი მხოლოდღა მთარგმნელი და ინტერპოლატორია, მეგრული ხალხური პოეზიის მთარგმნელი და ცალკეული ინტერპოლაციური ჩანართების ავტორი.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ აუცილებელია მკითხველი მეგრული ხალხური ლექსის პწკარედისა და ხ. ბერულავასეული თარგმანის რამდენიმე ნიმუშს გაეცნოს:

გადავიკითხოთ „ყვავილისა და ჰინჭრის ლექსი“:

ყვავილსა და ჰინჭარს ერთხელ
ერთად ყოფნა ერგოთ ბედად.
ყვავილს კოცნა თუ ხვდებოდა,
ზეცა ჩამორუხდებოდა,
რომ ჰინჭრისთვის შეეხედათ?!
ქვეყანაზე ხომ ორივე
ამ ბუნებამ გააჩინა...
ყვავილსა და ჰინჭარს თურმე,
როგორც მიწის ძვირფას სტუმრებს,
ერთ ეზოში ჰქონდათ ბინა.

ხ. ბერულავას ეს ლექსი შევუდაროთ ამავე სათაურის ხალხური ლექსის პწკარედს (აქ და ქვემოთ პწკარედები აღებულია წიგნიდან: ქართული ხალხური პოეზიის მასალები. მეგრული ტექსტები. შემდგენელი კალისტრატე სამუშია. თბ., 1971 წ.):

ვარდსა და ჰინჭარსა
ერთად ჰქონიათ ბინა,
ორივე გასახარელი (გასაზრდელი)
ღვთისაგან გაჩენილია.
თუ ვარდს კოცნა ხვდება,
ჰინჭარსაც ხვდება მიხედვა!

როგორც ვხედავთ, აღნიშნული პწკარედი გაულექსავს პოეტს, უფრო სწორად მშვენიერი მეგრული ხალხური ლექსი, რომლის პოეზიის ენაზე თარგმნა ერთობ რთულია, ხ. ბერულავას გადმოუმახინჯებია... დედნის ადეკვატური თარგმანის თვალსაჩინო მაგალითია „ქალ-ვაჟიანი“:

მე ისეთი ბიჭი მინდა,
მოისარი, მონადირე,
შუა ზღვაში შედიოდეს
და იჭერდეს ცოცხლად ირემს;
შუა ტყეში შედიოდეს
და იჭერდეს კალმახს ხელით,
ცაში რაშით დაფრინავდეს
ლომგული და თვალნათელი!
ზღვის ერთ ნაპირს ფეხს დავაჭერ,
რომ ვარცლივით გადაბრუნდეს.
. . . . . . . . . . . .
გუთნეულში ხარს შევაბამ,
ხარირემს და არა ნიშას.
აგიშენებ ცაში კოშკებს
ჩემი ერთგულების ნიშნად.

აი, ხალხური ლექსის პწკარედიც:

მე ისეთი ბიჭი მინდა,
ზღვაში ირემს ნადირობდეს,
ორაგულსა და კალმახს
ბადით ტყეში იჭერდეს,
მთას ვაკედ გადააქცევდეს,
რაშით ცაში დაფრინავდეს!
. . . . . . . . . . . .
ზღვის ნაპირს ფეხს დავაჭერ,
ვარცლივით დავაპირქვავებ.
. . . . . . . . . . . .
ირემს გუთანში შევაბამ,
ჰაერში კოშკსა აგიგებ.
. . . . . . . . . . . .
სულით და გულით შენი ვარ...

ვის არ სმენია მეგრული ხალხური სიმღერა „ერთი ვარდი“, რომლის ტექსტი პოეტმა ამავე სათაურითვე თარგმნა და საკუთარ შემოქმედებად გააცნო მკითხველს:

მე მოვწყვიტე ერთი ვარდი
და მიჭირავს კრძალვით ხელში,
მათრობს მისი სურნელება,
როგორც ტურფა ქალის ეშხი.
ვინ დარგო და გაახარა
ანდა ვისთვის, მე არ ვიცი,
არცა ჰქნება, არცა ხმება
ვით სიცოცხლე დედამიწის...

ხალხური საუნჯის ღვაწლმოსილი გამომწვლილველის, ფოლკლორისტ ქ. სამუშიას მიერ შესრულებული პწკარედი ასეთია:

ერთი ვარდი მოვწყვიტე,
ხელში მიკავია ის,
ვყნოსავ და მისი სურნელებით
ჩემი ყოფნა დამტკბარია.
მე არ ვიცი, ეს ვარდი
სადაურ ბაღშია გაზრდილი,
არცა ჰქნება, არცა ხმება,
ის ვისგანაც დარგულია!

მეგრულ ხალხურ სატრფიალო ლირიკაში ვარდის მეტაფორას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ყვავილთა შორის ულამაზესი და უსურნელოვანესი ყვავილის — ვარდის ტრფიალი, როგორც ჩანს, არც ხუტა ბერულავასთვის არის უცხო. სწორედ ამიტომ თარგმნის და ითვისებს იგი ვარდის მეტაფორაზე აგებულ ხალხურ ლექსებს. მკითხველი ამაში უკვე დარწმუნდა, მაგრამ ერთ ლექსსაც მივაწვდი:

ვარდმა თქვა: ჩემი ის არი,
ვინც მოვა, კრძალვით დამყნოსავს.
. . . . . . . . . . . .
ვინც ხელს არ მახლებს,
არ მომწყვეტს,
არ შემიმოკლებს სიცოცხლეს,
დატკბება ჩემი სიტურფით
და სიყვარულზე ილოცებს!
(ხ. ბერულავა, „ვარდმა თქვა: ჩემი ის არის“).

ვნახოთ პწკარედიც:

ვარდმა სთქვა: ისაა ჩემი,
ვინც მოვა და დამყნოსავს,
ხელს არ მახლებს, არ მომწყვეტს,
ჩემი სიტურფით თავს შეიქცევს.

ვერ ვიტყვი, რომ პოეტისეული მხატვრული თარგმანები ურიგო იყოს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში იგი დედნისეულ პოეტურ სიღრმეს ვერ წვდება. ჩანს, ხ. ბერულავამ ცოტა იმუშავა მათ გადმოქართულებაზე. არ ვიცი, ვის როგორ, მე კი ნამდვილად არ მომწონს ლექსების — „ვიწექ მარტო“, „ჩემი მტრედი“, „ძველი კოლხური სატრფიალო“ და სხვა გადმოქართულებული ნიმუშები. ამ უკანასკნელი ლექსის ძალა თვით პწკარედიდანაც შეიგრძნობა:

ხელი და ფეხი არ მივარგოდეს,
ხეიბრად ვიყო დაბადებული,
ამისთვის არვის გეცოდებოდე,
ამას არ ჰქვია გაჭირვებული.
ბრმაც რომ ვიყო, ყრუც რომ ვიყო,
მუნჯად რომ ვიყო დაბადებული,
ამისთვისაც ნუ შემიცოდებთ,
ამას არ ჰქვია გაჭირვებული.
. . . . . . . . . . . .
მე მიყვარდეს (და) მას არ
ვუყვარდე,
ცხოვრება მქონდეს გამწარებული,
მე მას ვეძებდე, ვერ ვპოულობდე,
ცოდვა რომ მქონდეს გადიდებული,
მაშინ ყველა მე მომეშველეთ,
მაშინ ვიქნები გაჭირვებული.

ეს ლექსი პოეტის თარგმანში ასე ჟღერს:

მკლავი გამიხმეს, ველარ ვიძროდე
ჯვარზენის კლდეებს დაჭიდებული,—
მე ამისათვის ნუ შემიცოდებთ,
მაინც არ მქვია გაჭირვებული.
. . . . . . . . . . . .
სმენა დამიხშოს, აღარ ისმოდეს
ჩემთვის სიცოცხლის ხმა
დიდებული, —
მე ამისათვის ნუ შემიცოდებთ,
მაინც არ მქვია გაჭირვებული.
ენა წამერთოს... მუნჯად
მიცნობდეთ...
თვალში ჩამიდგეს ჯანღი მთებური,
მე ამისათვის ნუ შემიცოდებთ,
მაინც არ მქვია გაჭირვებული.
მე რომ მიყვარდეს, მას არ
ვუყვარდე,
დაიტიოს ცოდვაგადიდებული,
სატრფოს ვეძებდე მარად,
მუდამდღე
და ვერ ვპოვებდე გაგიჟებული, —
მაშინ თქვენც მოდით და
შემიცოდეთ,
მაშინ მიწოდეთ გაჭირვებული!

ასე იქცა ხალხური საუნჯე ხუტა ბერულავას „... უგულწრფელესი გრძნობით, ნაღდი სიხარულითა და ტკივილებით... გაჯერებული“ შემოქმედების ნაყოფად. ხალხურს ვამბობთ, თორემ ამ სახით დაბეჭდილი, აკადემიურ გამოცემებში შესული, ბევრი ნიმუშის ხალხურობა დასტურდება მხოლოდ ისეთი მცირე ტერიტორიულ ერთეულის ფარგლებში, როგორიცაა სოფელი. ცხადია, ამ ტიპის ხალხური ლექსების სპეციფიკურ ნიშნებად არ გაიაზრება ანონიმურობა, კოლექტიურობა და ვარიანტულობა. აქ იგულისხმება მხოლოდ ლექსის გავრცელების ზეპირი გზა და პოეტური ფორმა. მეგრული ხალხური ლექსების გარკვეული ნაწილი, რომელიც ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX ს. პირველ მესამედშია შექმნილი, მხოლოდ ამ ნიშნებით არის ხალხური. ამ ლექსების ზოგიერთი ავტორი ახლახან მიიცვალა; არაერთი ლექსი მათ სიცოცხლეშივე დაიბეჭდა ასე მაგალითად ლადი სალაყაიას ლექსი — „მაშინ ვიქნები გაჭირვებული“, რომლის ბერულავასეულ თარგმანს სათაურით „ძველი კოლხური სატრფიალო“ უკვე გაეცნო მკითხველი, დაიბეჭდა გაზეთის — „მთლიანი კოლექტივიზაციის“ 1936 წლის 23 დეკემბრის ნომერში; ამავე ავტორისაა ხ. ბერულავას ორიგინალურ ნაწარმოებად შერაცხილი „ვიწექ მარტო“ (სხვათა შორის მისსავე კალამს ეკუთვნის ცნობილი „სისა ტურა“, რომელიც პოეტმა თავის ვაჟს — ბონდოს უძღვნა). საინტერესოა, რა პასუხს გასცემს ხ. ბერულავა ლადი სალაყაიას შვილებს და შვილიშვილებს, ამ უკანასკნელებმა მისი საავტორო უფლება ოფიციალურ დონეზე რომ მოითხოვონ?

იქნებ, აღმოჩნდნენ ოპონენტები და განაცხადონ, რომ ყოველივე ეს რემინისცენციის გამოვლენაა. მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ლიტერატურის ისტორიამ რემინისცენციის მრავალი ფაქტი იცის, უფრო მეტი — შეგნებული დასესხებისაც (ამ თვალსაზრისით თვით პუშკინის შემოქმედებაც დიდად არის დავალებული ფრანგული მწერლობისაგან. მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, მისთვის პლაგიატი არავის უწოდებია). რა თქმა უნდა, პოეტს (და არა მარტო პოეტს) შეუძლია დაისესხოს მასალა და ახლებური გააზრებით გადმოსცეს, მაგრამ არავითარი უფლება არა აქვს ისესხოს მთლიანად ლექსი. ამას დასესხება არ ჰქვია... არც იმას ჰქვია დასესხება, რომ უკვე ცნობილი ლექსის რამდენიმე სტრიქონისაგან შექმნას მდარე ხარისხის ნაწარმოები და ამით ჩრდილი მიაყენოს პირველწყაროს. იქნებ ჯობდა, რუსთაველისა თუ გურამიშვილისაგან, ვაჟასა თუ ბარათაშვილისაგან, აკაკისა თუ გალაკტიონისაგან გვესესხა სტრიქონები და ამ მეთოდით შეგვექმნა „საკუთარი შედევრები“? მაგრამ მათგან არათუ სტრიქონების, არამედ პოეტური ფორმის, რიტმის და თვით რითმის სესხებისთვისაც კი კრიტიკოსები „ჩვენეული პარნასებიდან“ კისრისტეხვით ჩამოგვაბრძანებდნენ. როგორც ჩანს, მსგავსი რამ მხოლოდ ხალხური ლექსის მიმართ შეიძლება გაკეთდეს და, ისიც მაშინ, თუ ეს პოეზია, ენობრივი ბარიერის გამო, უმრავლესობისათვის უცნობი იქნება. ხალხური ლექსი უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ მისი უმოწყალო ძარცვა უთვალოდ დაუშვებელია.

შესანიშნავ მოქალაქესა და პოეტს, გალაკტიონის მეგობარს — პავლე აკობიას, რომელმაც ცნობილი სიმღერის — „ჩელას“ — ტექსტიც და მუსიკაც დაამუშავა და ახლებურად ააჟღერა, არასოდეს უფიქრია მის მითვისებაზე. ხალხის მიერ შექმნილი ეს ძეგლი („ჩელა“), პ. აკობიას სულით შთაბერილი, თვით ხალხსავე დაუბრუნდა და მღერის საქართველო ისე, რომ თითო-ოროლა კაცმა თუ იცის პ. აკობიას სახელი.

რაოდენ მამულიშვილურ საქმეს გააკეთებდა ხ. ბერულავა, ლექსების მითვისების ნაცვლად, მეგრული ხალხური პოეზიის მხატვრული თარგმანების პატარა წიგნი რომ გამოეცა. ამით ხალხურ საუნჯესაც დასდებდა პატივს და ჩვენს ცოდნასაც გაამრავლებდა. არადა, პოეტს, როგორც ყოფილ რედაქტორს, გამომცემლობის დირექტორს, დღეს კი მწერალთა კავშირის მდივანს, ამის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდა და აქვს. ჰქონდა საამისო მაგალითებიც: დიდად პატივსაცემ მოღვაწეებს — დ. წერედიანს, ვ. ონიანს და ვ. სალიანს რომ არ გამოეცათ სვანური ხალხური ლექსებისა და ეპოსების შესანიშნავი თარგმანები, წარმოიდგინეთ, რაოდენ ზერელე იქნებოდა ჩვენი აზრი ქართული პოეტური აზროვნების კულტურაზე. ვითომ ჯობდა, მათ ეს თარგმანები საკუთარ შემოქმედებად გამოეცხადებინათ?

სამწუხაროდ, ხ. ბერულავა არ არის ერთადერთი, ვინც მეგრული ხალხური ლექსების თარგმნასა და მითვისებას მიჰყო ხელი. მაგრამ იგი გენტევების ჯაცის როლში მისივე დიდი მადისა და ხალხური პოეზიიდან ლომის წილის მითვისების გამო წარმოგიდგინეთ. მე (და არამარტო მე) კარგა ხანია თვალს ვადევნებ თანამედროვე ქართულ პოეზიაში არსებულ ამ „მიმრვისებლური მეურნეობის“ პროდუქციას, რომელიც კრებულებიდან კრებულებში გადადის, და გული მტკივა, რომ მეგრული ხალხური მარგალიტების მხატვრულ თარგმანებს დღემდე არ იცნობს ქართველი მკითხველი. ამას ბოლო უნდა მოეღოს, „ასე გაგრძელების უფლება აღარ გვაქვს!“

**ნუგზარ ანთელავა**

# ისევ სოციალ-დემოკრატია?

24 და 25 თებერვალს თბილისში, საზოგადოება „ცოდნის“ დარბაზში, ჩატარდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თავისი პარტიის აღდგენა გამოაცხადეს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 169 დელეგატი, თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. ყრილობას ესწრებოდნენ სტუმრები უნგრეთიდან, ბალტიისპირეთიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან.

ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები, ცენტრალური კომიტეტი, მიიღო წესდება და პროგრამა.

პარტიის თავმჯდომარედ არჩეულია გ. მუჩაიძე.

## ამ სიმღერას მღეროდნენ საქართველოში

კოჯრის მთაზე დაფლეთილი
თეთრი დროშა ფრიალებდა,
კვინიტაძის ზარბაზნები
სკდებოდა და გრიალებდა.

მიყვარს ვარდი, მიყვარს ია,
მეჯავრება ჟორდანია.
ფილიპეში ვერ გავცვალე,
რაც მართალი, მართალია.*

კოჯრის მთაზე დაფლეთილი
თეთრი დროშა ქანაობდა,
სიზმრად ვნახე, საქართველო
ცრემლის ზღვაში ბანაობდა.

---

* ეს მიხამღერი ადასტურებს, რომ ქართველ ხალხს ბოლშევიკ ფილიპე მახარაძეს ერჩია სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანია, მაგრამ დიდად არც იგი ეხატებოდა გულზე.



სურათზე: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. საფრანგეთი, შატუ.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გივი გუმბარიძეს

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები მიმდინარეობს არა ტრადიციულად, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება დასახელებული დეპუტატობის კანდიდატების სიმრავლეში, სავარაუდოა, რომ მრავალ ოლქში არჩევნები არ დამთავრდება პირველ ტურში.

საჭირო გახდება არჩევნების განმეორებითი ჩატარება.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სახალხო ფრონტი შემოდის წინადადებით, საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნები გადატანილი იქნას მიმდინარე წლის ოქტომბერში.

ნ. ნათაძე,
საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე.

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილიას მართლის საზოგადოების, საქართველოს ჰელსინკის კავშირის და საქართველოს კონსერვატორულ-მონარქისტული პარტიის

# მიმართვა გერმანელი ხალხისადმი

ვინაიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხელმძღვანელობს არა იზოლირებული ეროვნული ინტერესებით, არამედ ზოგადსაკაცობრიო პროგრესისაგან განუყოფელი მიზნებითა და ამოცანებით, ვინაიდან საქართველოს ბედ-იღბალი დიდწილად დამოკიდებულია ტოტალიტარული რეჟიმების რღვევის საერთაშორისო ვითარებაზე და ვინაიდან სატელიტური მდგომარეობიდან აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებისა და მისი დემოკრატიზაციის ერთ-ერთ უდიდეს შედეგად გვევლინება ის პოლიტიკური ხდომილებები, რითაც ამჟამად ხასიათდება ურთიერთობა ე. წ. აღმოსავლეთ გერმანიასა და დასავლეთ გერმანიას შორის, საქართველოს რადიკალური პოლიტიკური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციები და კერძოდ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ჰელსინკის პარტია მიესალმებიან გერმანიის გაერთიანების პროცესს და იმედს გამოთქვამენ, რომ მომავალი ერთიანი გერმანია, როგორც პირმშო აღმოსავლეთ ევროპის დეტოტალიტარიზაციისა, საიმედო გარანტი იქნება მსოფლიოს ამ რეგიონში თავისუფლებისა და დემოკრატიის მტკიცე მკვიდრობისათვის.

გერმანელ ერს თავისი ისტორიის მანძილზე ყოველთვის უხდებოდა დიდი ძალისხმევა იმ უბედურების დასაძლევად, რაც დაკავშირებული იყო შინაგათიშულობასთან და იგი ამჟამადაც ახეთი ამოცანის წინაშე დგას. ის დიდი ტრაგედია, რომელსაც დასაბამი მიეცა 1949 წელს ორი გერმანული სახელმწიფოს გამოცხადებით, აღმოსავლეთ გერმანიის გადაქცევით საბჭოთა იმპერიის სატელიტად და იქ ნაცისტური ტოტალიტარიზმის შეცვლით არანაკლებ დანაშაულებრივი კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმით, რაც მდგომარეობდა ხელისუფლების უზურპაციაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მიერ, დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში უთუოდ დასასრულს უახლოვდება. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ყოველდღიურად ემსახურება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური ღირებულების დამკვიდრებას იმით, რომ აქტიურად მონაწილეობს დიდი ისტორიული ბოროტების — საბჭოთა იმპერიის — დაშლის საქმეში, არ შეიძლება კაცობრიობის კულტურული და პოლიტიკური წინსვლის ინტერესებიდან გამომდინარე არ თანაუგრძნობდეს დიდი კულტურული და პოლიტიკური პოტენციალის მქონე ერის გაერთიანებას ერთ სახელმწიფოდ. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები იმედს გამოთქვამენ, რომ გერმანიის გაერთიანება ისევე გამოიწვევს მსოფლიოში ეროვნულ-დემოკრატიული პროცესებისა და ქრისტიანული კულტურის ახალ დონეზე აღმავლობას, როგორც საბჭოთა იმპერიის რღვევა მასში ჩაგრულ ერთა და მათ შორის ქართველი ერის ძალისხმევის შედეგად. ღმერთი იყოს შემწე ამ საქმის კეთილად აღსრულებისა! გაუმარჯოს ერთიან, თავისუფალ გერმანიას! გაუმარჯოს ერთიან, თავისუფალ საქართველოს!

# გზა თავისუფლებისაკენ

1990 წლის 15 თებერვალს უპრეცედენტო ფურცელი ჩაიწერა ქართული ფეხბურთის, ქართული სპორტის ისტორიაში. ამ დღეს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება — ამიერიდან საქართველოს საფეხბურთო გუნდები აღარ ითამაშებენ სსრკ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში და მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში.

ყრილობა „ტრადიციულად“ „ძველ სტილში“ რომ არ ჩატარდებოდა, თავმჯდომარის არჩევისა და დღის წესრიგის შემოთავაზებული ვარიანტის გარშემო გამართულმა კამათმაც დაადასტურა. ერთსაათიანი დისკუსიის შემდეგ გადაწყდა, რომ ყრილობას წარუძღვებოდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი ომარ გოგიაშვილი, საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე დავით კვინიკაძე და სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ იმნაძე. განსაკუთრებით მწვავე კამათი დღის წესრიგის დამტკიცებამ გამოიწვია. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პროექტში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხი ბოლო, მე-5 პუნქტად იყო განსაზღვრული, რამაც ყრილობის დელეგატთა დიდი ნაწილის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც სახალხო ფრონტის სპორტული კომისიის თანათავმჯდომარემ ლევან ტატიშვილმა აღნიშნა, ეს საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და დღის წესრიგში პირველ პუნქტად უნდა ყოფილიყო შეტანილი. გარდა ამისა, თუ პრეზიდენტის არჩევნები უფრო ადრე ჩატარდებოდა, როგორც ეს დღის წესრიგით იყო განსაზღვრული, მაშინ იქმნებოდა საშიშროება, რომ პრეზიდენტი თავისი ძალაუფლებით გავლენას მოახდენდა ყრილობის გადაწყვეტილებაზე. და ბოლოს, სწორედ ამ მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო დისკუსიას უნდა წარმოეჩინა პრეზიდენტობის ღირსი პიროვნება. ყრილობა დაეთანხმა გამომსვლელს და კენჭისყრით გადაწყდა, რომ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხი დღის წესრიგის პირველ პუნქტად იქნებოდა.

პირველი საკითხის გარშემო დისკუსიის დაწყებამდე კინორეჟისორმა ალექსანდრე ყლენტმა დელეგატებს მიმართა თხოვნით, ეჩვენებინათ მისი 12-წუთიანი ფილმი „გვჭირდება თუ არა სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში?“. ფილმის ჩვენების შემდეგ ტრიბუნაზე გამოვიდა ინვალიდთა ასოციაციის ლის ემოციურ მოწოდებას დელეგატებისადმი — მხარი დაეჭირათ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების გადაწყვეტილებისათვის — არ შეიძლებოდა გულგრილი დაეტოვებინა დამსწრე საზოგადოება. შემდეგ წაიკითხეს საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის და სახალხო ფრონტის მიმართვები დამფუძნებელი ყრილობისადმი, რომლებშიც გამოთქმული იყო რწმენა, რომ დელეგატები მიიღებდნენ ქართული სპორტისა და და მთელი ქართველი ერის ინტერესების შესაბამის გადაწყვეტილებებს. დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნას და ყველა ქართული საფეხბურთო გუნდის მონაწილეობით ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას თავის გამოსვლებში მხარი დაუჭირეს: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრმა ვახო ყიფიანმა, ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ლომინაძემ, საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის“ პრეზიდენტმა ემელიან გორგაძემ, მუშტაიდის პარკის ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის თავკაცმა ვაჟა კიკნაძემ, სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ და ამავე გამგეობის წევრმა, გულშემატკივართა კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა ციალა სვანიძემ.

ამ გამოსვლების შემდეგ ყრილობის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ ავთანდილ იმნაძემ სინანულით აღნიშნა ფეხბურთის სპეციალისტთა დიდი ჯგუფის პასიურობა და თხოვა მათ, უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინათ. ამის შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ ვეტერანი ფეხბურთელები ბორის პაიჭაძე და ნესტორ ჩხატარაშვილი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი გიორგი ბაქანიძე, რომლებმაც განაცხადეს, რომ ჯერ ნაადრევად მიაჩნიათ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარის თქმა, რომ საქართველოს გუნდებმა აუცილებლად უნდა ითამაშონ საკავშირო ჩემპიონატში. უნდა შევნიშნოთ, რომ ფეხბურთის სპეციალისტთა უდიდესი ნაწილი არ იყო ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების იდეის წინააღმდეგი, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ამ საქმის მომავლისთვის გადადებას მოითხოვდა.

ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების შესახებ მსჯელობამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც სიტყვით ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი ნოდარ ახალკაცი გამოვიდა. თავის გამოსვლაში მან გააანალიზა ყველა ის სიძნელე, რომელიც თან ახლავს დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარებას და დაკავშირებულია საფეხბურთო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, ჩემპიონატის მოწყობის ორგანიზაციულ საკითხებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებასთან და სხვ. მაგრამ, როგორც ნოდარ ახალკაცმა აღნიშნა, დღეს, როდესაც საქართველოში ასე ფართოდ გაიშალა ეროვნული მოძრაობა, განზე არც ფეხბურთელები და არც ფეხბურთის სპეციალისტები უნდა დადგნენ, მათაც თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ამ დიდ საქმეში. რამდენიმე წუთის შემდეგ ყრილობამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (მხოლოდ 15 დელეგატი იყო წინააღმდეგი და სამმა თავი შეიკავა) გადაწყვიტა, რომ 1990 წლიდან საქართველოს საფეხბურთო გუნდები და არ მიიღებენ მონაწილეობას სსრკ ჩემპიონატსა და თ... სის გათამაშებაში, ჩაებმებიან დამოუ... კიდებელ ეროვნულ ჩემპიონატში ... ასპარეზოდ.

დღის წესრიგის მეორე საკით... ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნე... იყო. დაასახელეს 6 კანდიდატ... ნოდარ ახალკაცი, კახი ასათიანი, მ... ნუჩარ მაჩაიძე, ილია დათუნაშვილ... ვლადიმერ ბარქაია და სპორტული ჟ... რნალისტი, სახალხო ფრონტის სპორ... ტული კომისიის თანათავმჯდომარ... ზურაბ პეტრიაშვილი. კანდიდატ... დასახელების შემდეგ ტრიბუნასთა... გავიდა მწერალი გურამ პეტრიაშვილ... და მოუწოდა დელეგატებს, ხმა მიეც... ათ ნოდარ ახალკაცისთვის.

თავდაპირველად თავისი კანდიდა... ტურა მოხსნეს დათუნაშვილმა და... ბარქაიამ, შემდეგ — მანუჩარ მაჭა... იძემ, რომელმაც თავისი კანდიდატუ... რა კახი ასათიანის სასარგებლოდ მო... ხსნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გად... წყვეტილებამ დელეგატთა ერთი ნა... წილის გაკვირვება გამოიწვია, ვინაიდ... ან, მათი აზრით, პრეზიდენტობ... მსურველი ვალდებული იყო, მონაწი... ლეობა მიეღო ყველაზე მნიშვნელო... ვან საკითხის გარშემო გამართულ... მწვავე დისკუსიაში. პრეზიდენტობ... კიდევ ერთმა კანდიდატმა — ზურა... პეტრიაშვილმა — ტრიბუნიდან განა... ცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რო... მას ჰქონდა მომზადებული საპროგრა... მო გამოსვლა ქართული ფეხბურთი... დამოუკიდებლად განვითარების მიმა... კანდიდატურას ნოდარ ახალკაცი... კაცის ასეთი შთამბეჭდავი და საქმიან... სიტყვის შემდეგ იგი ხსნიდა თავი... კანდიდატურას ნოდარ ახალკაცი... სასარგებლოდ. ყრილობამ ფედერაცი... ის პრეზიდენტად აირჩია ნოდარ ახალკაცი.

ყრილობამ დაამტკიცა ფედერაციი... წესდება და აირჩია ფედერაცი... პრეზიდიუმი და საექსპერტო კომი... იის თავმჯდომარე.

როცა დაირხა ხმები თბილისის „... ნამოს“ და სხვა ქართული გუნდე... სსრკ ჩემპიონატში მონაწილეობის ... ობაზე და თითქოს სასწორზე ... დადებული ყრილობის ამ ისტორიუ... ლი გადაწყვეტილების ბედი, განსაკუ... თრებული როლი ითამაშა ქართულ... ეროვნული მოძრაობის მტკიცე პოზი... ციამ. საქართველოს ეროვნული დამო... უკიდებლობის პარტიის, წმინდა ილი... მართლის საზოგადოების, ჰელსინკი... კავშირისა და მონარქისტული პარტი... ის განცხადებამ; ეროვნულ-დემოკრა... ტიული პარტიის, ქრისტიან-დემოკრ... ატიული ახალგაზრდობის ასოციაციის, დემოკრატიული პარტიის მიმართვამ სახალხო ფრონტის პოზიციამ და 20 და 21 თებერვალს თბილისში გამართულმა მიტინგებმა საბოლოოდ განაპირობეს ყრილობის გადაწყვეტილების — 1990 წელს ჩატარდეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ყველა ქართული გუნდის მონაწილეობით — ბედი.

ვასილ ლაპიაშვილი

სახალხო ფრონტი
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯავახეთის ქ. № 17. ტელ.: 292-681.
რედაქტორი მამუკა ფარჩუაშვილი